

დამბა სიგრძით 65 მეტრი, ხოლო სიმაღლით 2 მეტრი.

გაბიონის კალათად შერჩეულია 2x1x1-ის ზომების 8x10 უჯრედის ბადის $\Phi 3$ მმ-ის სისქის მავთულის მოთუთიებული კალათა. დამაკავშირებელი „რასპორკების“ დიამეტრია $\Phi 3,9$ მმ. კალათის განივად მოთავსებულია დიაფრაგმა. კალათის კიდეების შემკრავი მავთულის დიამეტრია $\Phi 2,4$ მმ.

დამბის მოწყობის ადგილზე საჭიროა წინასწარ მოიჭრას მცენარეული გრუნტი 20 სანტიმეტრის სისქეზე. შემდგომ კეთდება ხრეშის ან ღორღის ფენილის მოწყობა გულმოდგინე დატკეპვით.

გაბიონის განლაგება და მისი მობრუნების კუთხის კორექტირება შესაძლებელია მოხდეს მშენებლობის პროცესში ადგილზე საპროექტო ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

გაბიონის კალათის დამზადებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო, აუცილებელია შესრულდეს ГОСТ 52132-2003-ის მიხედვით.

7. დამიწების მოწყობა

ეგზ-ზე დამიწების მოწყობა ხორციელდება $\Phi 12$ მმ მრგვალი ფოლადის ღეროს საშუალებით.

$\Phi 12$ მმ მრგვალი ფოლადის ღეროს პარამეტრებია:

სიგრძე – 1856 მ.

წონა – 1670,4 კგ.

იხ. ნახ. №003-303-26-10 ტ.1

8. მასალებისა და მოწყობილობების ტრანსპორტირება.

მასალებისა და მოწყობილობის ტრანსპორტირება ხორციელდება თბილისიდან მარნეულის რაიონში 40 კილომეტრის მანძილზე.

1. AC-400/51 მარკის სადენი – 258,4 ტ.

2. C-70 მარკის გვარლი – 11,85 ტ.

3. OPGW-54 მარკის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი – 7,612 ტ.